ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით 29- სხდომის დღის წესრიგის პროექტი

სხდომის მოწვევის თარიღი: 2024წლის 27 მარტს
სხდომის ჩატარების დრო:14:00საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ქუთაისი
რუსთაველის გამზირი #3

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **14** ივლისის **№ 1** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის **2023** წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ

3. ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის **№96**-სა **(** ნაკვეთები: **№1; № 2; №2-1-1-1-1; № 2-1-2; № 2-2; №3; №4; №4 -1; №4-2)** და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის **№96**-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

4. გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის **№8** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის'' სახელწოდების შეცვლის ცნობად მიღების შესახებ; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის'' თავმჯდომარის თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრის გიორგი კილაძის არჩევის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრების: ქეთევან ხურციძისა და გაგა მანაგაძის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

საინფორმაციო ბარათი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგით 29-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტით

განსაზღვრული საკითხების შესახებ

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **14** ივლისის **№ 1** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

რეგლამენტში შესული ცვლილება ითვალისწინებს, საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებას, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაძლიერებას

http://kutaisi.gov.ge/public/files/1710919272_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9A.%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A.%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1..pdf

2 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის **2023** წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ

წარმოდგენილი იქნება ქუთაისის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

http://kutaisi.gov.ge/public/files/1709279010_Binder1.pdf

3 ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის **№96**-სა (ნაკვეთები: **№1; № 2; №2-1-1-1-1; № 2-1-2; № 2-2; №3; №4; №4 -1; №4-2)** და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის **№96**-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა

და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დაგეგმილია აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანება.შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან . დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების განვითარების შესაძლებლობები და ინტერესები;. დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს ქვეითებისთვის განკუთვნილი კავშირები მომიჯნავე კვარტლებთან; . სიცრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობანაგებობების დანგრევა და გადატანა, მათი სიცრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა. აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტით; დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

http://kutaisi.gov.ge/public/files/1709796269_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.pdf

4. გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4Culture ხელშეწყობით, ქ.ქუთაისში დაგეგმილია ქუთაისის სახალხო ხელოვნების ფესტივალის განხორციელება, ,,კულტურის განვითარების სტრატეგიის საფუძველზე შერჩეული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში. ქუთაისის სახალხო ხელოვნების ფესტივალი ხელს შეუწყობს ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიის მდგრადობას დინამიური კულტურული ეკოსისტემის ხელშეწყობით. იგი გულისხმობს ინოვაციურ შემოქმედებით ჩართულობას, CDS მიზნების შესაბამისად, მრავალმხრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობისა და განვითარების გზით.

HTTP://KUTAISI.GOV.GE/PUBLIC/FILES/1710310543_%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.PDF

5 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საბჭო არის მუნიციპალიტეტის სათათბირო საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

http://kutaisi.gov.ge/public/files/1711457243_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93.%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

6 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის'' სახელწოდების შეცვლის ცნობად მიღების შესახებ; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის'' თავმჯდომარის თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრის გიორგი კილაძის არჩევის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობაზე ამ ფრაქციის წევრების: ქეთევან ხურციძისა და გაგა მანაგაძის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;